საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 39

2022 წლის 9 ივნისი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N27 განკარგულებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მოწონების თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2022 წლის 8 ივნისის N01-01-10/ 2487 კორესპონდენციის გათვალისწინებით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N27 განკარგულებით შექმნილი სახელმწიფოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) საკუთრებაში არსებული (ე.წ. ოცნების ქალაქში) უძრავი ქონების მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ ე.წ „ოცნების ქალაქის" ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ პროგრამით სარგებლობასა და რიგითობის განსაზღვრასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამის (040104) განხორციელებისას, იხელმძღვანელოს განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიყვაძე**

3414-02-2-202206091719
https://edocument.ge/AdjaraGov/public